სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

19 ოქტომბერი 2026

N 728/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში შპს „უდაბნო“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „უდაბნო“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) სკრინინგის განცხადება.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „უდაბნო“-ს კუთვნილი სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ინსპექტირება და გამოვლენილ დარღვევებზე 2025 წლის 18 დეკემბერს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^{7} მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად (იმ დროს მოქმედი რედაქცია) შპს „უდაბნო“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №096214 ოქმი, რომელიც განსახილველად გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს გადაეგზავნა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმო მოწყობილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სართიჭალაში, შპს „უდაბნო“-ს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.12.20.909; ფართობი: 8 681 $მ^2$). საპროექტო მიწის ნაკვეთი არსებული 750-მეტრიანი გრუნტის გზით უკავშირდება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი შენობა ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 580 მეტრში (ს/კ: 81.12.20.908) მდებარეობს, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარი საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 600 მეტრით არის დაშორებული.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტია მდინარე იორი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 220 მეტრში მიედინება. საპროექტო ტერიტორიიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 310 მეტრში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო ფიქსირდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმო მოიცავს სამსხვრევ-დამხარისხებელ ერთ ტექნოლოგიურ ხაზს და მის დამხმარე ინფრასტრუქტურას. კერძოდ საპროექტო

ტერიტორიაზე მოწყობილია მიმღები ბუნკერი; ვიბრაციულცხავიანი მკვებავი; ყბიანი სამსხვრევი; როტორული სამსხვრევი; ვიბრაციული საცერი; ორი ერთეული ქვიშის სარეცხი დანადგარი; რვა ერთეული ლენტური ტრანსპორტიორი; მართვის კაბინა და ელექტრო მართვის სისტემა; ნედლეულის და საბოლოო პროდუქტის ღია საწყობები; ორსექციანი სალექარი/რეზერვუარი (საერთო მოცულობა 125 მ³); 5 მ³ მოცულობის წყალგაუმტარი სეპტიკური ავზი; ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს წარმადობა იქნება საათში 43 მ³ (86 ტ). საწარმო იმუშავებს წელიწადში 260 დღე, დღეში 8-საათიანი რეჟიმით (მხოლოდ დღის საათებში) და წლის განმავლობაში დაახლოებით 90 000 მ³ (180 000 ტ) ქვიშა-ხრეშის სველი მეთოდით გადამუშავებას უზრუნველყოფს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოში ქვიშა-ხრეშის შეტანა მოხდება ლიცენზირებული კარიერებიდან, ავტოთვითმცლელების საშუალებით. საწარმოში შეტანილი ქვიშა-ხრეში, საჭიროებიდან გამომდინარე, პირდაპირ ჩაიტვირთება მიმღებ ბუნკერში, ან დროებით განთავსდება ნედლეულის საწყობში, საიდანაც დამტვირთველის მეშვეობით ჩაიყრება მიმღებ ბუნკერში. მიმღები ბუნკერიდან ნედლეული ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება ვიბრაციულცხავიან მკვებავს, საიდანაც პირველადი მსხვრევისთვის ლენტური ტრანსპორტიორით ყბებიან სამსხვრევში გადაინაცვლებს. დამსხვრეული შუალედური პროდუქტი ლენტური ტრანსპორტიორით მეორადი მსხვრევისთვის როტორულ სამსხვრევში გადავა და მსხვრევის შედეგად მიღებული მასალა დასახარისხებლად ლენტური ტრანსპორტიორით ვიბრაციულ საცერს მიეწოდება. ვიბრაციული საცერიდან გამოსული დახარისხებული მსხვილი ფრაქციები ლენტური ტრანსპორტიორებით საბოლოო პროდუქტის საწყობში განთავსდება, ხოლო წვრილი ფრაქციების ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენებული იქნება ქვიშის სარეცხი დანადგარები, რომლებიც ქვიშიდან წვრილი მინარევების მოცილებას უზრუნველყოფს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან ქვიშა-ხრეშის მსხვრევა, გაცრა/დახარისხება, ტრანსპორტირება და დასაწყობება დაკავსირებულია მტვრის წარმოქმნასთან, მტვერჩახშობის უზრუნველყოფის მიზნით, საწარმოო ხაზის ექსპლუატაციისას გათვალისწინებულია ქვიშა-ხრეშის სველი დამუშავების მეთოდი: ნედლეულის მიმღებ ბუნკერში ჩაყრის დროს, წყლის შესხურების სისტემით, მასალის დატენიანება; ვიბრაციულცხავიან მკვებავში, ვიბრაციულ საცერში და სარეცხ დანადგარებში მასალის წყლით გარეცხვა; პირველადი და მეორადი მსხვრევის უბნებზე, ლენტური ტრანსპორტიორების სამუშაო მონაკვეთებზე და მასალის გადატვირთვისა და ჩამოყრის წერტილებში, წყლის შესხურების სისტემით, მასალის დატენიანება. ამასთან, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია საწარმომდე მისასვლელი არსებული გრუნტის გზის რეგულარული მორწყვა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნით, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წყალმომარაგების სისტემიდან. საწარმოში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები შეიკრიბება 5 მ³ მოცულობის ჰერმეტულ წყალგაუმტარ სეპტიკურ ავზში, რომელიც განიტვირთება საჭიროებისამებრ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება საწარმოო წყლებს, ტექნოლოგიურ პროცესში გათვალისწინებულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა. კერძოდ, ტექნოლოგიური ციკლის შედეგად წარმოქმნილი საწარმოო წყლები შეიკრიბება ორსექციან სალექარში და მექანიკური დალექვის შემდგომ კვლავ ტექნოლოგიურ პროცესში დაბრუნდება. ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში ცირკულირებადი წყლის საპროექტო ხარჯი დაახლოებით 15 მ³/სთ იქნება. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ასევე ორსექციან სალექარში შეიკრიბება და ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრის (SiO_2<20 %) წარმოქმნას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში წარმოდგენილია საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია არაორგანული მტვრის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. კუმულაციური ზემოქმედების შესაფასებლად, გაბნევის გაანგარიშებაში ფონურ მაჩვენებლად აღებულია მიმდებარედ არსებული ანალოგიური პროფილის მქონე საწარმოდან მოსალოდნელი გაფრქვევები. მიღებული შედეგებით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის კონცენტრაცია 500-მეტრიან ნორმირებულ საზღვარზე და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს არ აჭარბებს და ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების ძირითადი წყარო იქნება ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები, რომელთა ერთდროულად ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი ხმაურის ჯამური დონე 103,9 დბA-ს შეადგენს. დოკუმენტში წარმოდგენილია საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების პროგრამული მოდელირება, რომელიც შესრულებულია ხმაურის წარმომქმნელი ყველა წყაროს ერთდროული ფუნქციონირების პირობებში, მიმდებარედ არსებული ანალოგიური პროფილის მქონე საწარმოს ფონური ხმაურის გათვალისწინებით. უარესი სცენარის დასაფიქსირებლად, ხმაურის გავრცელების პროგრამული მოდელირებისას, მხედველობაში არ იქნა მიღებული ხმაურის ჩახშობის რიგი ფაქტორები, როგორიცაა არსებული რელიეფი, მცენარეულობა და ქარსაფარი ზოლები. მიღებული შედეგებით, უახლოეს საცხოვრებელ შენობასთან მიღებული ხმაურის დონე 44,02 დბA-ს შეადგენს და საპროექტო საწარმოს ფუნქციონირების პროცესში კანონმდებლობით დადგენილი ზღვრულად დასაშვები ხმაურის ნორმების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში შეგროვდება. არასახიფათო ნარჩენების გატანა უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას გადაეცემა. სალექარში წარმოქმნილი ლამი, გატანილი იქნება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმო მოწყობილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში შპს „უდაბნო“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს გზშ-ს**.

2. შპს „უდაბნო“ ვალდებულია კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „უდაბნო“-ს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „უდაბნო“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/728-21-4-202610191608